№ 754 პარასკევი, 19 თებერვალი 1896—1899 პარასკევი, 19 თებერვალი. № 754

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თავ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკუთ-
რებისთვის მიმართავენ რედაქციას დილის
9-3 საათამდე და საღამოს 6—7
„ც. ფ. სახ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
საქმეზე მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან., და 50 კაპ.

გამგეობა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა
ამ თვის წევრთ აცნობებს, რომ კვირას, 14 მარტს ამ წლისას და-
ნიშნულია

## წლიური სხდომა
## წევრთა საზოგადო კრებისა

დილის 10 საათზე, ფოთის საქალაქო გამგეობის დარბაზში:

1. განსახილველი და დასამტკიცებელია ანგარიში, 1898 წლისა.
2. დასამტკიცებელია 1899 წლის ხარჯთა-აღრიცხვისა.
3. ასარჩევია რჩევის ორი დეპუტატი, იმათ ნაცვლად, რომელთა ვადა გაუდის.
4. ასარჩევია თავმჯდომარე და დირექტორი გამგეობისა იმათ ნაცვლად, ვისაც ვადა გაუდის ან ავათმყოფობისა გამო თავს ანებებს.
5, ასარჩევია სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატი.

წესდების 36 მუხლის ძალით, საზოგადო ნატარიული რწმუნებით აღჭურცელნი, საზოგადო კრებაში მონაწილეობისა მისაღებად საჭირონი, უნდა გამგეობაში წარმოდგენილი იქმნენ სამი დღით ადრე, საზოგადო კრებისათვის დანიშნულ დღისა, ე. ი. არა უგვიანეს ამ თვის მარტის თერთმეტის რიცხვისა. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა
თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

## „სახელმძღვანელო"

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების
მოწაფეთათვის
შედგ. მღვ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.
შემოსავალი თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ
ფონდისათვის. (20—15)

## შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი უკიდურესად იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВЪ

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 94)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **ხატის მირთმევა ეგზარხოსის პატივსაცემლად.** გუშინ, 18 თებერვალს, ტფილისის სამღვდელოებამ მის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოეს საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს, მისი სახელის დღესასწაულისა გამო, წირვისა და პარაკლისის შემდეგ საეგზარხოსო სასახლის ეკლესიაში, მიართვეს მშვენივრათ შემკული მაცხოვრის ხატი, ღირებული 80 მ. და კანდელი ღირებული 140 მ. ნიშნათ მისის მეუფების პატივისცემისა.

*** **თხოვნის შეუწყნარებლობა.** საბოს ტყე-ბაღების კომისიამ არ შეიწყნარა მამინაიშვილის თხოვნა იმის შესახებ, რომ მისთვის. ნება მიეცათ აეშენებია ალექსანდრეს ბაღში პაველიონი სასმელ-საჭმელების გასასყიდად, ამასთან ის კისრულობდა ბაღში ელექტრონის გამართვას.

*** **სასკოლო გადასახადი გორის მაზრაში.** ტფილისის გუბერნიის მე-2 რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა, გორის მაზრის სასოფლო საზოგადოებებზე სასკოლო გადასახადის დარჩენილის გამო, შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექციასთან იმის შესახებ რომ: 1) აკრეფილ იქმნეს ერთი თვის განმავლობაში გორის მაზრის სასოფლო საზოგადოებათაგან გასული წლის სასკოლო დარჩენილის გადასახადი მოსამსახურე პირთა დასაჯილდოვებლად წინა წლებისათვის; 2) შეიტანონ ხოლმე სასკოლო გადასახადი არა წლის გასულს, როგორც ეხლა არის, არამედ ნახევარ წლობით, და 3) ყურადღება მიაქციოს საზოგადოდ გორის ადმინისტრაციამ, რომ სასკოლო გადასახადს მაზრაში თავის დროზე იხდიდნენ.

*** **გორის მაზრის თავად-აზნაურთა თხოვნა.** გორის მაზრის იმ თავად-აზნაურებმა, რომლებიც ცხოვრობენ საკორინთლოსა, ქვემო-ჭალასა, იგოეთსა და სადგ. გრაკალის სხვა ახლო-მახლო სოფლებში, თხოვნა წარუდგინეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომლითაც თხოულობენ, რომ სად. გრაკალთან მტკვარზე გასაყვანი ახალი ხიდი აშენებულ იქმნეს ყარსის რკინის გზის სოღანლუღის ხიდის მზგავსად, რათა ამით მცხოვრებლებს ამ ხიდზე მიმოსვლა შეეძლოთ ურმებით და ქვეითად და აიშორონ თავიდან მუდმივი განსაცდელი მტკვარში გასვლის დროს.

*** **მიმოსვლის შეჩერება.** სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა ყარსის რკინის გზაზე 17 თებერვალს თოვლის გამო შეჩერებულ იქმნა.

*** **ბილეთების ყიდვის შეწყვეტა.** რადგან საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლა თოვლისა და ზვავების გამო შეჩერებულია, ამის გამო სახენოსნო ფოსტის სადგურზე ბილეთების გაყიდვა შეწყვეტილია სანამ ხსენებულ გზაზე მიმოსვლა განახლდებოდეს.

*** **ხელოსანთა საზოგადოების განაჩენის გაუქმება.** ტფილისის ხელოსანთა მოურავმა კ. სერობიანცმა შეატყობინა ხელოსანთა ამქრის მამასახლისებს, რომ ხელოსანთა 28 წარსული მაისის საზოგადო ყრილობის განაჩენი ტფილისის ხელოსანთა საზოგადოების გადასახადების შესახებ და ოსტატთა და მათ თანაშემწეთაგან მოწმობისათვის გადასახადის გამორთმევის შესახებ, ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ გააუქმა, რადგან უკანონოდ სცნო. ამის გამო მოურავის წინადადებით უნდა აიკვეთოს მოწმობების გადასახადების და აგრეთვე ყველა იმ ფულის აკრეფა, რომელიც იმ განაჩენშია აღნიშნული.

*** **წიგნებით და გაზეთებით გაჭრობა სადგურებზე.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს სადგურებზე გაიმართა წიგნებითა და გაზეთებით ვაჭრობა.

*** **საგაჭრო დეპუტატების არჩევა ახალციხეში.** ახალციხიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივმა ქალაქის გამგეობამ აირჩია სავაჭრო დეპუტატებად ამ წლიდან ა. კ მელკანოვი, პ. პ. სეხნიაშვილი, ხ. ხ. ასმიროვი და მ. მ. კიულშანგოვი, მათ კანდიდატებად: ს. მ. ადამოვი და კ. ო კასაპაროვი.

*** **ყალბი ფულის აღმოჩენა.** განჯასა და შუშაში, როგორც ისმის, ყალბი ოქროს ხუთ მანეთიანები აღმოუჩენიათ: გამსაღებლები უკვე შეუპყრიათ.

*** **საზიზღარი დანაშაული** ამ დღეებში ბაქოში შემდეგი საზიზღარი დანაშაული ჩაუდენიათ: სარატოვის გუბერნიის გლეხის ქალს ლ. ფ. ს.—ს განუცხადებია ბოქაულისათვის, ამ დღეებში მე ჩემი 13 წლის ქალი უსტინა ასტრახანელ ქალს ტ. პ—სთან გავაგზავნეო. ბავშვმა იქ რამდენიმე დღე დაჰყო და როცა შინ დაბრუნდა, შემომჩივლა მუცელი მტკივაო. მე ის გავსინჯე და დავრწმუნდი, რომ ის გაუპატიურებელი იყოო. გამოვკითხე ქალს და იმან მიამბო, რომ მე დამათვრეს, და შემდეგ ჩამკეტეს ცალკე ოთახში ბაქოელ ა. მ. ა—სთანაო. როგორც ა., ისე პ. შეპყრობილნი არიან და საქმე გამომძიებელს გადაეცა.

*** **რუსეთის ფოსტა** არც გუშინ მოსულა ტფილისში, საქართველოს სამხედრო გზის თოვლით შეკვრის გამო,

*** **სავაჟო გიმნაზია ავლაბარში.** ტფილისის ქალაქის თავმა ამ დღეებში წარუდგინა ტფილისის გუბერნიის მმართველს ტფილისის ქალაქის თვით მართველობის შუამდგომლობა ავლაბარში სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ.

*** **საქართველოს სამხედრო გზიდან** იუწყებიან, რომ სადგ. გუდაურს იქით გზა შეკრულია აუარებელი თოვლით, რადგან იმედი არ აქვთ საჩქაროდ გასწმინდონ გზა, ამის გამო ის ოთხი ფოსტა, რომელიც რუსეთში მიდიოდენ და ამ სადგურიდან ველარ დაიძრა, გუდაურიდან მცხეთაში გამობრუნეს, საიდანაც ბათომის გზით გაგზავნიან ნოვოროსიისკში.

*** **არჩევნები სამეურნეო საზოგადოებაში.** 7 მარტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხდება საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება თანამდებობის პირთ ასარჩევად, სახელდობრ ვიცე პრეზიდენტისა, რჩევის წევრთ და საზოგადოების მდივნისა.

*** **სოხუმი** ბაღის გაჩეხა. 12 თებერვალს ღამით ადგილობრივ საქალაქო ბაღში ვიღაც ბოროტმოქმედმა გასჩეხა ყველა პატარა ნაძვის ხეები, რომლებიც ბაღის მშვენებას შეადგენდნენ. ბაღს არ გააჩნია არავითარი ზედამხედველობა და მოვლა-პატრონობა, თორემ, რა თქმა უნდა, ასეთი გულის ამმღვრევი ამბავი არ მოხდებოდა.

— **უსუფთაობა.** რაც დრო გადის, ქალაქის უსუფთაობა სულ უფრო და უფრო მატულობს. ქუჩები და თხრილები გავსებულია ყოველგვარი სიბინძურით, რომელიც საძაგელ მყრალ, სუნს უშვებს თვით ქალაქის შუაგულში დამდგარია წუმპე, რომელშიც სხვა და სხვა გვარი გადანაყარი მცენარეულობა ლპება და ჰაერს წამლავს. ბაზრის მოედანი აგრეთვე სავსეა უწმინდურობით! სასაკლაოს სიბინძურე ხომ არც-კი აიწერება. ერთი სიტყვით, სოხუმი, იმის მაგივრად რომ სამკურნალო ადგილად გამოდგეს ავადმყოფთათვის, რომლებიც აქ რუსეთის ყოველ კუთხიდან მოეშურებიან ჰაერისათვის, ლამის თვითონ გადაიქცეს ყოველი ავადმყოფობის ბუდედ.

*** **ს. ქარელი** (ქართლი). **უგზოობით და ტალახით შეწუხებულნი.** არა მგონია რომელიმე სოფელი, ასეთ უყურადღებოდ და დავიწყების მორევში იყოს მიგდებული, როგორც არის, იმავ დაწყებ-დაბადებიდამ, ჩვენი ბედშავი სოფელი ქარელი. რომელი ერთი, უშვერ-ქმნილება ამ სოფლისა, და გაჭირვების უფსკრულში შთავარდნილება აუწერო მკითხველ საზოგადოებას? თუმცა არა ერთხელ და ორჯერ თქმულა ამ ბედშავ სოფლის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მისი მრავალგვარი თავ-გადავლილი ჭირ ვარამი და შეუსაბამო უსწორ-მასწორობა. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენის სოფლის უმეცრებით სავსე ტეტია მოთავე-მოხელეთა გულცივობით, არაფერი სოფლის სასიკეთო, მათ არა უზრუნვიათ რა, და მარტო თავის ბედის ამარაა სოფელი ქარელი მიგდებული. სოფლის უპირველეს ბედნიერებას-კი ის შეადგენს, რომ მას ჰქონდეს კარგათ გაკეთებული გზები, ქვიშა დაყრილი და არხებ აქეთ-იქით ამოღებული, რომ წვიმის წყალი არხებში იწურებოდეს და გზა მით აუტალახებლად რჩებოდეს. მაგრამ ვინ არის პატრონი და ვინ ზრუნავს ამ უსაჭიროეს მოთხოვნილებისათვის, და ვინ იქნება დამხსნელი ჩვენი ამ გაჭირვებისაგან, თუ არ ისევ მთავრობის ყურადღების მიქცევა და მათის შეოხებით ჩვენი ამ უკიდურესს მდგომარეობისაგან დახსნა. დიახ! ჩვენ სოფელს ყოველ სიკეთის ნატრულს და იმედ მიხდილს, დიდად ესაჭიროება კეთილ მცოდნე და განვითარებულის მოთავე კაცის ხელი, რომ მან თავის ცოდნით, შეიძლოს ჩვენი სოფლის ამ უკიდურესის მდგომარეობიდამ გამოყვანა. თორემ ახლა რომ ჩვენს სოფელს მოთავე ნაცვალ სუდიები ჰყვანან, არა მგონია, რომ მათთან რომელმამე რჩევა დარიგებით გააწყონ რამე, და მათ უტვინო თავში იოტის ოდენი სიკეთის ნარჩევი შთანერგონ რამე. თუმცა მათ ასხია ყურნი, გარნა მათ არ ძალუძთ, რათა ისმინონ კეთილი რჩევა მოძმეთაგან თვისთა. და ამაოა ყოველივე მათდამი, ვითარცა კითხვა სახარებისა მგლის თავზე დადგება თუ არა შემოდგომა, ჩვენ შუაგულ სოფელში მცხოვრებთაც, უნდა კარები სახლისა მაგრად ჩაჩავიკეტოთ, და მიუსხდეთ აღუზღუზებულ ბუხრის მოღხენილს ციას და სხვა და სხვა მრავალ ოცნებით გატაცებულნი, ციცუნასავით თვლემა-მთქნარებით ვაკანტურებდეთ თავს საძილოთ. რადგან ყოველ მოსახლის გარს ტალახის ტბა მორევნი გვარტყია, არასფრით არ შეგვიძლიან ერთმანეთთან მეზობლურად ამ მიზეზებისა გამო მივიდეთ, რადგან ნავებიც არა გვაქვს და კიდეც რომ გვქონდეს, მაინც სქლათ ალაფულს ტალახის მორევში რა გზით შეგვიძლიან მისი მუშაობა? თუმცა კი ამ ჩვენის უკიდურესს მდგომარეობისაგან გამოხსნა, ადვილად შეუძლიან თვით ჩვენისავე სოფლის ბატონ ბოქაულს, მა
რამ დიდად გვიკვირს მათგან, რ
ასე უყურადღებოდ როგორ სტ
ვებს სოფლის ამგვარ მდგომარე
ბას, რა დასჭირდება მას მარ
იის მეტი, რომ უბრძანოს სო
ლის მუქთა ყლაპია ნაცვალ
დიებს, რომ დაუყოვნებლივ შ
ნით სოფლის გზები გაკეთდეს
რომ კაცს შეეძლოს დაუბრკო
ბლად მათზე გავლა. მე თქვენ
თხრა, დიდი გაჭირვება იქნება
გზების გაკეთებით! ჩვენ სოფ
ძალიან ახლოს ჩამოუდის
მტკვარი და აქ იმდენი ქვა-ქვი
რომ ყოველ თითო ურემს ძალ
ადვილად შეეძლება, დღეში ა
დამ თხუთმეტი ურმის ქვი
ამოზიდვა და მით ამ ტალახ
ბეების ამოშრობა. მაგრამ მონ
მება და მოთავეობაა ამის გას
თებლად საჭირო, და ჩვენ სოფ
კი მოთავე და მბრძანებელი ვ
ჰყავთ ისინი თავს არიდებენ
მარტო თავიანთ ცხოვრების
საკუთრებულს ზრუნვა-ინტერ
ბით არიან გამსჭვალულნი
სოფლის ზემოთ ჩამოთვლილი
თხოვნილება კი მათ სულაც
ახსოვთ და არ ზრუნავენ არაფ
სათვის.

დასასრულ ამ წერილისა, მა
კიდევ მივმართავთ მათ, ვი
ჯერ არს, ამ გზების უქონლო
და ცუდ მდგომარეობაში მყოფ
ბისათვის, მიაქციონ ყურადღ
და დაგვიხსნან ასეთ უკიდ
მდგომარეობისაგან, რომ გ
ნოს ჩვენი სოფლის მოთავე
ხელეთ, გაგვიკეთონ გზები
მავალ გაზაფხულის დაწყებ
მაინც, თუ ადრე ამაზე ვერ
ხერხდება. თუ არა და იძულ
ლნი ვართ, ზამთრობით მივანებ
ყოველ ჩვენს ნაშრომ-ნაღვაწს ს
კარ-ბინადრობას თავი და გარ
სახლდეთ ისევ რომელსამე ქ
ადგილას. სხვაც ბევრი რამ გ
ჩვენის სოფლის შესახებ მოსაწ
მაგრამ ამ ჟამად ეს ვიკმაროთ

იასონ დ. ციციშვ

---

## სამკურნალო ცნო

—

შებნედილი ბავშვის დაბადე
როდესაც ექიმის შეძლება მე
შებნედილს ბავშვს აბანავდალებთ,
თავრესი ყურადღება მიქცეულ
იყოს ცერის თითებზე, რადგან
ძალიან დასწექით, უეჭველია
ქორივა და უსუსური ხორც-ძვალ
ნით შეიღრიკოს და სხეული ს
დაუზიანდეს. მაჯებში მოქცეულ
ვიც ერთნაირის თანაბრობით უნდ
ჭიროთ, რომ სასუნთქში ბლომა
გიდეს ჰაერი და უმოძრაო ფილ
ში საკმარისი ჰაერი ჩადის,

---

(* იხ. «ცნ. ფურც.» № 751.

...ხლი მოძრაობაშა მოდის და შებ-
...ლს ბავშვს მეხსიერება უბრუნდება;
...ბს ხმა მაღლა ტირილს, უწითლ-
... მთელი სხეული, ახელს თვალებს
...ეხებისა და ხელების ფათურს იწ-
...ს.

...როდესაც შებნედილი ბავშვი გამობ-
...ება უეჭველად თბილად უნდა ამ-
... და რამოდენიმე დღეს ვანები
... ზოგჯერა ხდება, რომ შებ-
... ბავშვის გამობრუნება აღარა
...ება, მაგრამ მაინცა და მაინც თუ
...ლის პირი უზანს აღნიშნულ სა-
...ბანი საუკეთესონი არიან და ბევ-
... ნაცადიც, თუ ამ ზომებმაც ვერ
...შველს, მაშინ ბავშვს სიკვდილი არ
...ება. კიდევ არის ერთი უკანასკნე-
...საშუალება, რომელიც უკვე ნაცა-
...სასუნთქში „კატეტორით“ ჰაერის
...ება (კატეტორი ერთგვარი სადის-
...რი მანქანაა, რომლის საშუალებით
...ტვებში ჰაერს ჰბერავენ). ჩვენ სა-
...ულოს პროვინციებსა და სოფლებ-
...შორია შებნედილი ბავშვის სიკვ-
..., რადგანაც უვიცი ბებიები რა-
...ვნებელ ზომებს იღებენ. როდე-
...ავშვი შებნედილი იბადება იმის
...რ, რომ მიაწოდონ ფილტვებში
... ჰაერი, ისინი ნატისუსალს უხრ-
...ბენ. ნატისუსალს სრულიად საღ-
...მათი ბავშვის სიკვდილიც შეუძ
..., არამც თუ შებნედილი ბავშვისა.
...დევ შებნედილი ბავშვის წინ მო-
...ენ პირის საბანს ტაშტს და უბ-
...ებენ, ვითომდა იმ მოსაზრებით,
...ავშვი ძილშია და გამოერკვევაო.
...ნი ბავშვი შებნედილია, გდია საბ-
...ავს დედამიწაზე და ისედაც
...ბნუთულს ბავშვს ეკარგება უკანა-
... ძალ-ღონე. ჩვენის აზრით,
... მოყვანილი ზომები შებნედილი
... შესახებ იყოთ უბრალო და
... მოსახმარია, რომ ყოველ ჩვენ-
...შეუძლიან, თუ რასაკვირველია,
...ხილით მოეკიდება შებნედილი
... ქირვა სხეულს. იმედია, ჩვენი
... ბებიები ყურადღებას მიაქცე-
... საშუალებას და იხელმძღვა-
...ენ.

ივ. კავთელი

## გამოსადეგი ცნობა

...ვორ უნდა დაუკარგოთ ვაშლს
...ვა ხილეულობას ცუდი გე-
...ება. ზამთრობით ხილეულობა
...ში და სარდაფებში ინახება, რის
...ჩვეულებრივი გემოვნება და სურ-
... სრულიად ეკარგებათ და საჭ-
...აღარ გარგულობს. ცუდი გე-
...ის დაკარგვა ამ გვარად შეიძ-
... უნდა აიღოთ ლიდგულას და ან
... ხის ყვავილებიანი ტოტები
... და იქონიოთ, როდესაც შეა-
..., რომ ხილეულებსამ ჩვეულებ-
...გემოვნება დაჰკარგა, ჩააწყოთ ვაშ-
... ერთად ყუთში 12—15 დღეშ.
... შემდეგ ხილეულებს სრულიად
...ავს ცუდ გემოვნებას და საჭმე-

დადაც ისეთივეა, როგორც ახლად დაკ-
რეფილი.

## რჩეული აზრები

—

ვინც მოტყუებითა სცხოვრობს, მას
დაღუპვა არ ასცდება.

—

ანგარიშის კაცს გულუ თავში აქვს.

—

ყოველივე ნივთიერება შედეგია მი-
ზეზისა

—

ცხოვრება გრძელი გზაა, რომელიც
სავსეა მტვრით, ტალახით და ავდრით.

—

გარყვნილება საშინელი ქარიშხალია,
რომელიც ადამიანს თვალებში მტვერს
აყრის, რომ კეთილი ვეღარ დაინახოს.

—

ადამიანს მწუხარების მონობაში ყო-
ველივე შიში ეკარგება.

—

კაცმა მაზე მეტი იცოდეს, რაც სა-
ჭიროა, გონებითი გაუმაძღრობაა.

## ყურმოკრული საუბარი

—

ერთი კაცი თავის უარშით ცოლს
ყოველ დღე სცემდა. ერთ დღეს ჩვე-
ულებრივად გალახა ცოლი. ცოლმა
იტყუნა და ქმარს თავი ისე მოაჩვენა
ვითომც მოკვდა. ქმარმა მეზობელს
დაუძახა და ჰკითხა:

— რჩევა მომეცი როგორ მოვიქცეო.

მეზობელმა უპასუხა:

— უნდა ეს მკვდარი გაატყავოთ,
რადგანაც მე გამიგონია ანჩხლი დედა-
კაცის ტყავი ძალიან ძვირად თურმე
ფასობს.

— მე კი არ შემიძლიან და შენ რაც
გინდა ის უყავიო. მეზობელმა დანის
ლესვა დაიწყო. დედაკაცმა დაინახა აღარ
ხუმრობენო, გულ-გახეთქილი წამოვარ-
და და გაიქცა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ტელეფონის იუბილეი. ამ წლის
იანვარში ტელეფონს შეუსრულდა ასი
წელიწადი. 1799 წ. 2 იანვარს ფრან-
გებმა გაოცებით მოიგონეს, თუ რო-
გორ გადაეცემა მანძილზე ადამიანის
ლაპარაკი განსაკუთრებული აპარატის
შემწეობით, რომელსაც პირველად ტე-
ლეფონი კი არ ერქვა, არამედ ტელო-
ლოგად იწოდებოდა. საფრანგეთის ერთ
ოფიციალურ გაზეთს, რომელიც ამ ამ-
ბავს გვაუწყებს, ვერ გაუბედნია სავსე-
ბით დასახელება ამ აპარატის გამომ-
გონის გვარისა. მოქალაქე, როგორც
ეს გაზეთი უწოდებს მას, სთხოვდა პა-
რიზელებს, მოისმინეთ მარსის მინ-
დორზე დირექტორიის პრეზიდენტის
სიტყვები, რომელიც ლიუქსენბურგის
სასახლიდან გამოგელაპარაკებათო. მაგ-
რამ პარიზელებმა ბ. შუშლიე კაცად
ჩასთვალეს და კინაღამ შეშლილთა სახლ-
ში დაამწყვდიეს.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

16 თებერვალი

**პეტერბურგი.** 15 თებერვალს
ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდე-
ბოდა ზღვის კადეტის კორპუსში;
16 თებერვალს—ნიკოლოოზის კა-
დეტის კორპუსში.

**რომი.** „Popolo Romano“ აც-
ხადებს, რომ “Figaro„-ს მიერ ნა-
უწყები ვითომც პაპის აზრად ჰქო-
ნდეს წინააღმდეგობა განაცხადოს,
რომ იგი გამორიცხულია კონფე-
რენციიდგან, რომელიც უნდა შეს-
დგეს მხედრობის შემცირების შე-
სახებ, არა მარტო უდროვოა, არა-
მედ ყოვლად უსაფუძვლოცაო.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმის სა-
ბიუჯეტო კომისიაში რიხტერს
უპასუხა ბიულოვმა, რომ კონფე-
რენცია შეიარაღების შემცირების
შესახებ გაგაში უნდა მოხდესო.

მოწვევის ბარათები ჩქარა გაიგ-
ზავნება. როდის შესდგება კონფე-
რენცია, ჯერ არ არის გარდაწყ-
ვეტილი. რუსეთმა წარმოადგინა
პროგრამმა, რომლის ცალკ-ცალ-
კე მუხლის წინააღმდეგ ლაპარაკი
სხვა და სხვა სახელმწიფოებს შეუძ-
ლიან თითონ კონფერენციაზედ.

17 თებერვალი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პა-
ლატა. გამილტონმა განაცხადა,
რომ ის ხმები ვითომც ავგანის
ემირი მომკვდარიყვეს, ყოველივე
საფუძველს მოკლებული არისო.

**რომი.** „Tantulla“ იუწყება,
რომ ჩინეთის მთავრობამ დაუთმო
იტალიას სანმუნის ნავთსადგურიო.

**პარიზი.** სენატი. მორელე წი-
ნააღმდეგია პროექტისა მიტომ,
რომ პროექტი თხოულობს საკა-
ნონმდებლო დაწესებულება ჩაე-
რიოს იმ საქმეში, რომელიც შეე-
ხება მხოლოდ სასამართლოს და
დამნაშავეს. დიუპუი ამბობს, რომ
მე ვერ შემაშინეს იმ საბუთებმა,
რომელნიც მოყვანილი იყო პრო-
ექტის წინააღმდეგ, მიტომ რომ
მე მაშინვე შევამჩნიე იმ საბუთე-
ბის სისუსტეო. მინისტრი აღჭურ-
ვილია თავისის მოვალეობის ასრუ-
ლების სურვილით,—აი რისთ-
ვის წარმოადგინა პროექტი, რო-
მელიც პალატაში შეწყნარებულ
იქმნა რესპუბლიკელთა უმრავლე-
სობის მიერ. (წინააღმდეგი ხმაუ-
რობაა). ეს ამტკიცებს, რომ მთავ-
რობა არაოდეს არ იწონებდა ამ
საქმის გამო შემდგარ რამდენიმე
დასს და რამდენიმე ლიგასო. ორა-
ტორმა იკითხა, ამგვარ საყვედუ-
რის ღირსნი არიან თუ არა ჩემი
მოწინააღმდეგენიო. (წინააღმდე-
გობა გაისმის, ხმაურობაა). დიუ-
პუი აცხადებს, რომ მე არ ვემორ-
ჩილები ჩაგონებას მხედრობისას,
რომელიც პატივს სცემს კანონს,
კონსტიტუციას და, ამავე დროს,
მამულისათვის თავდადებულიაო.
მინისტრი ამტკიცებს, რომ პრო-
ექტი სრულებითაც არ ასუსტებს
დამნაშავეთა შესახებ გარანტიას.
მთელი გამოძიება გამოქვეყნებული
იქნება, მიტომ რომ მთავრობას
სურს, ყველაფერი იცოდეს ყვე-
ლამ. დიუპუი წინააღმდეგობას აც-
ხადებს იმ ბრალდების შესახებ,
რომ ვითომც მთავრობა მოწადი-
ნებული იყოს განჩინება შეიცვა-
ლოს, რადგან არ იცის, როგორი
განჩინება იქნება დადგენილი. იმას
სურს, რომ ისეთი განჩინება დად-
გინდეს, რომლის წინაშეც ყველა
ქედს იხრიდეს, შეშლილთა და
მეამბოხეთა გარდა. დასასრულ
დიუპუიმ მოსთხოვა სენატს, გამოს-
თქვას—ენდობა იგი მთავრობას,
თუ არა. ვალდეკ-რუსოს უკვირს,
რომ დიუპუიმ ნდობის შესახებ
კითხვა პირველად სენატში აღძრა,
ორატორმა იკითხა, როგორ მოხ-
და, რომ ასეთის ძლიერებით
აღძრულ იქმნა ასეთი უმსგავსო
კანონიო. ის წინააღმდეგია იმისი,
რომ პოლიტიკური მოღვაწეები
გაერიონ მართლმსაჯულების საქ-
მეში, რომელიც უკანასკნელი
ზღუდე უნდა იყოს გზა დაკარგულ
ბრბოს წინააღმდეგ. ვოლდეკს არ
მოსწონს მთავრობის სისუსტე,
წინააღმდეგია იმ იდეისა, რომ ვი-
თომც შესაძლებელი იყოს სახელ-
მწიფო მოსაზრებით შეიზღუდოს
კერძო კაცის თავისუფლება. ამას-
თანავე საშიში არის, საზოგადოე-
ბის შეხედულება არ შეიცვალო-
სო ერთად ერთი საშუალება ისაა,
რათა ამას თავი დავაღწიოთ, რომ
ჩვენს სინიდისს ყური დავუგდოთ,
იმას დავემორჩილოთო. საზოგადო
კამათი დასრულდა. სენატმა, 155
ხმით 125 წინააღმდეგ, დაადგინა
განიხილოს თითოეული მუხლი
კანონისა. კამათობა გადაიდვი ხვა-
სთვის. კრება დაიშალა.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის
და საფრანგეთის საყვარელ პოე-
ტის ბერანჟეს თხზულება.

„ბ ე რ ა ნ ჟ ე“

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

ფასი 40 კაპ.

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და
ლამაზად არის გამოცემული; შეი-
ცავს 40 საუკეთესო ლექსს და
ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოი-
წერს, 20% დაეთმობა „ცნობ.
ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი
გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის
მარკით. (10—7)

# Открыта подписка на 1899 годъ

## На литературный, научный и политическій журналъ

Выходитъ 3 раза въ мѣсяцъ (1, 11, 21)

36 книгъ въ годъ 36 **„ЖИЗНЬ“** Рисунки и портреты.

**Съ 1899 г. журналъ будетъ выходить при обновленномъ составѣ редакціи и сотрудниковъ.**

Ва журналѣ принимаютъ участіе: К. С Баранцевичъ, академикъ Н. Н. Бекетовъ, В В. Брусянинъ, П. И Вейнбергъ, А. А Вербицкая, В. В. Бересаевъ З. Л. Воронова, П. Н. Ге, М. П. Глѣбовъ, Р. Гвоздевъ, М. Горькій, (А. М Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, Г. А. Джаншіевъ, Н. П. Дружининъ,, А. Дюкъ (A. Duc), Де-Греефъ (De Greef.), П. Н. Инфантьевъ, М. К. Исаевъ, М. В. Калитинъ, Б. Э Кетрицъ, проф. Г. В, Левицкій, д-ръ П. В. Левашовъ, А. Е. Лосицкій, Г. Ф. Львовичъ, В. Микуличъ. Н. М. Минскій, Вас. Ив. Немировичъ-Данченко, А. А. Никоновъ, Н. А. Окуневъ, проф. Э. Ю. Петри, В. А. Поссе, Д. Д. Протопоповъ, К. П. Пятницкій, Н. А. Рубакинъ, В. Ю, Скалонъ, М. А. Славинскій, Е. Смирновъ, Евг А. Соловьевъ, П. Б. Струве, Н. Ф. Тепловъ, д-ръ В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И Туганъ-Барановскій, В. М. Черновъ, А. П. Чарушниковъ, Евг. Чириковъ, Корсдъ Шмидтъ (Conrad Schmidt), проф Ѳ Ѳ. Эрисманъ и др.

**М. ГОРЬКІЙ заявилъ согласія печатать въ „Жизни“ ВСѢ свои новыя произведенія,**

за исключеніемъ небольшихъ очерковъ, обѣщанныхъ имъ „Журнали для всѣхъ“.

**12 книжекъ** выходящихъ 1-го числа каждаго мѣсяца, заключаютъ въ себѣ **ЛИТЕРАТУРНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ: беллетристика, литерат. критика и искусство.

**12 книжекъ.** выходящихъ 11-го числа, заключаютъ въ себѣ **НАУЧНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ статьи по *естество-знанію* и по *общественнымъ наукамъ* (соціологія, политическая экономія, право, исторія)

Особое вниманіе будетъ обращено на ознакомленія читат. съ новѣйш. научными теченіями.

**12 книжекъ,** выходящихъ 21-го числа, содержатъ въ себѣ **ПОЛИТИЧЕСКІЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ: руководящія статьи по текущимъ вопросамъ русской и заграничной жизни, корреспонденціи изъ провинціи и изъ за границы

Особое вниманіе будетъ обращено на разработку вопросовъ, касающихся крестянскаго, городскаго и земскаго самоуправленія.

Многіе мѣстные общественные дѣятели обѣщали свое сотрудничество. Для болѣе полнаго ознакомленія читателей съ заграничной жизнью, кромѣ отдѣльныхъ статей и корреспонденціи, редакція предполагаетъ помѣщать переводы *стенографическихъ* отчетовъ о наиболѣе интересныхъ засѣданіяхъ западно-европейскихъ парламентовъ

Постоянныя корреспонденціи изъ Германіи, Франціи, Англіи, С. Ам. Соед. Штатовъ, Австріи, Бельгіи и др.

*Библіографія* распредѣляется по соотвѣтствующимъ отдѣламъ.

*Къ каждой изъ 36 книжекъ прилагается обзоръ русской и иностранной жизни за 10 дней.* Этимъ будетъ достигнуто соединеніе удобствъ ежемѣсячнаго и еженедѣльнаго изданія.

Кромѣ того ежемѣсячно будутъ помѣщаться *новости литературы, искусства и науки, а также мелочи русской и заграничной жизни*

***Многія статьи (по искусству, исторіи и т. д.) будутъ иллюстрированы снимками съ картинъ и портретами.***

Помѣщеніемъ рисунковъ и портретовъ редакція однако отнюда не думаетъ придать журналу характеръ иллюстрированнаго изданія.

Стремясь избѣгать помѣщенія большихъ литературныхъ произведеній небольшими отрывками редакція рѣшила напечатать переводъ новаго большаго *романа Гамфри Уордъ* (автора Марчеллы, Сэра Дж. Тресседи, Давида Грина и др.) *Хельбекъ изъ Баннисдэля отдѣльной книгой* и разослать его въ первой четверти 1899 года всѣмъ *подписчикамъ, внесшимъ полную годовую плату* въ видѣ бвзплатнаго приложенія

Контора редакціи готова исполнять порученія иногородныхъ подписчиковъ по покупкѣ и вѣсылкѣ имъ книгъ.

Первыя три (январскія) книжки печатаются и выйдутъ въ декабрѣ. Желающимъ ознакомиться съ журналомъ онѣ высылаются за *одинъ* рубль. Выписавшіе ихъ, продолжаютъ подписку за 6 рублей.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—7 руб.; на 1/2 года—4 р. Допускается разсрочка отъ 1 р. въ мѣсяцъ.**

Главная контора СПБ. Бассейная д. 14.

Отдѣленія конторы *въ Москвѣ:* кн. маг., «Книжное Дѣло» (Моховая, домъ Бенкендорфа); кн. скл. А. М. Муриновой (Трехпрудный пер., собств. д.)

(8—2) Редакторъ-Издатель **Д. М. Остафьевъ**

---

1899 г. **подписка на еженедѣльный журналъ** ГОДЪ XVIII.

**РЕБУСЪ,** знакомящій читателей съ современною научною разработкой вопросовъ психической области, какъ-то: **медіумизма** (спиритизма), **животнаго магнетизма, гипнотизма, ясновидѣнія, двойнаго зрѣнія, мысленнато внушенія, видѣнія призраковъ:** прижизненныхъ, предсмертныхъ, посмертныхъ и т. п. На страницахъ журнала помѣщаются описанія сеансовъ извѣстныхъ медіумовъ въ Россіи и заграницею. Статьи по **Астрологіи,** знакомящія съ этой наукой, и теоретически и практически: составленіе гороскоповъ. Статьи по **Оккультизму,** заключающія въ себѣ ученіе древнихъ и новѣйшихъ оккультистовъ. **Беллетристика: романы, повѣсти и разсказы.**

Годъ съ дост. 5 руб., безъ дост. 4 руб. 1/2 года 3 » » 2 » | Разсрочка: при подпискѣ 2 руб.; 1-го апрѣля, 1-го іюля и 1-го окт. по 1 руб.

Адресъ: Царское село (Петербургской губ.), редакція журнала „РЕБУСЪ“.

(6—4)

---

1899 г. Годъ третій 189

Открыта подписка на 1899 г. на

# Новый журналъ Иностр. Литератур[ы]

## ИСКУССТВА и НАУКИ.

**[П]ервое въ Россіи**

общедоступное иллюстрированное ежемѣсячное изданіе. (Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ е[же]мѣсячниковъ)

12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ | **1899** | На годъ 4 р Съ доставкой [и] перес. 5 р. На 1/2 года 2 р 50 к Съ дост. и перес. 3 [р]

«Новый Журналъ [И]ностранной Литературы» поставилъ себѣ задачей въ [воз]можно большемъ кругу [р]усской читающей публики пробуждать и подд[ержи]вать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удово[льствіе] своей поучительностью и занимательностью въ области литературы, иску[сства] и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника [толь]ко новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журналъ [Ино]странной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о результа[тахъ] умственной дѣятельности и общественной жизни за границей, о томъ ф[азисѣ] міровой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть предме[томъ] любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ л[юдей].

Съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литератур[ы]“ печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и наил[уч]шія изъ произведеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюжета[хъ], такъ или иначе касающихся современности или представл[яю]щихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, худо[жес]твенномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе не [пе]реводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ р[ус]каго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію допускающія илл[юс]трированіе, сопровождаются **многочисленными художественно ис[пол]ненными рисунками и автотипическими репродукціями.**

▬ Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особой нумераціей страницъ и могутъ быть сохраняемы отдѣльными томами. ▬

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и занимате[льна]го содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстриро[ван]ной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литератур[ныя], художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иностра[нной] журналистики мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печата[ться]

**Юморическіе разсказы Уэлльса**

(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „Нов[омъ] **Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

Неизданныя произведенія ДИККЕНСА.

Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и свад[ьба] адвоката бѣдныхъ Зибенкейза.

Романъ **Жана Поля Рихтера.** (12—8)

---

# БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА** со всѣми ПРИЛОЖЕНІЯМИ: съ пересылкою **На ГОДЪ 4 РУБ.**

**второе изданіе**

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА** со всѣми приложеніями съ пересылкою **на три мѣсяца . . 1** **На мѣсяцъ 35 к.**

**БОЛЬШАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ БЕЗЦЕНЗУРНАЯ ГАЗЕТА.**

**иллюстраціи** на событія дня какъ русской, такъ и иностранной политической и общественной жизни помѣщаются не только въ литературной части воскресныхъ нумеровъ, но и въ самой газетѣ

**ЕЖЕДНЕВНО**

По воскресеньямъ выпускается сверхъ газетнаго листа особое литературное прибавленіе, печатающееся на бѣлой глазированной бумагѣ и составляющее особый еженедѣльный

**безплатный иллюстрированный журналъ**

Въ предстоящ. году будутъ напечатаны «Колесо Фортуны» романъ Независимаго **І. І. Ясинскаго.** «въ муромскихъ лѣсахъ» повѣсть Е. А Саліаса **„письма“** Н. А. Лѣскова. **«городской голова»** романъ Вас. Ив. немировича-данченко **„ЛУЧИ“** повѣсть К. К. Случевскаго «ТАЛИСМАНЪ» историчес. романъ проф. П. Безобразова.

Самостоятельный въ своихъ су[жде]ніяхъ, чуждый тенденціознаго [осве]щенія фактовъ и безусловно не[зави]имый органъ печати. Ярко осв[ѣщая] всѣ явленія общественной жизни[, имѣя] огромную сѣть корреспондентов[ъ,] газета при всей своей твердо[сти и] неуклонности, справедливая и бе[з]страстная, уже много лѣтъ явля[ется] несомнѣнно,

***наиболѣе полнымъ*** **выразителемъ нуждъ провин[ціи]**

Главные отдѣлы газеты, а въ осо[бен]ости передовой, политической, личной и провинціальной общес[твен]ной жизни, фельетона, телегр[аммъ,] корреспонденцій и пр.,—по [по]лнотѣ и свѣжести совершенно [отли]чаютъ подобнымъ-же отдѣлам[ъ дру]гихъ большихъ столичныхъ газет[ъ. Въ] ней нѣтъ ненужныхъ несвязн[ыхъ] случайныхъ замѣтокъ, а ихъ зам[ѣняетъ]

**ЖИВОЕ СЛОВО.**

ГЛАВНАЯ КОНТОРА: С.-Петербургъ, Невскій, 28.

***Въ 1898 Году болѣе 60,000 подписчиковъ.*** (6—4)